

შპს სინევი საქართველო

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ----- 2

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	3
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება-----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება-----	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია -----	6
2. მომზადების საფუძველი -----	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა -----	3
4. ძირითადი საშუალებები -----	12
5. არამატერიალური აქტივები -----	12
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი -----	13
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----	13
8. ფული და ფულის ექვივალენტები -----	13
9. გრძელვადიანი სესხი -----	14
10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები -----	14
11. იჯარის ვალდებულებები-----	15
12. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები -----	15

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სინეკო საქართველოს“ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ✓ ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- ✓ კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ✓ კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ✓ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ✓ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- ✓ თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 30 სექტემბერს.

არიელ ლევ გატუშკინი

რუსუდან აბულაძე

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სინევი საქართველო“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ✓ ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- ✓ კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ✓ კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ✓ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ✓ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- ✓ თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 30 სექტემბერს.

არიელ ლევ გატუშკინი

დირექტორი



რუსუდან აბულაძე

ფინანსური მენეჯერი

2021 წლის 30 სექტემბერი

2021 წლის 30 სექტემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-2020	31-12-2019	
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	908833	649,470	1017116
არამატერიალური აქტივები	5	16825	19,133	18089
სულ გრძელვადიანი აქტივები		925658	668,603	1035205
მიმდინარე აქტივები				
გაცემული ავანსები		98,394		
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	6	582,839	582,133	647768
სხვა მიმდინარე აქტივები		30,608	14,353	9979
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	435,948	430597	412421
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	8	946,807	187,484	187484
სულ მიმდინარე აქტივები		2094596	1,537,982	1257652
სულ აქტივები		3020254	2,206,585	2292857
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3401018	3,401,018	3401018
გაუნაწილებელი მოგება / დაიფარავი ზარალი		-1495717	-1,942,170	-1946585
რეზერვები და ფინანსირება		27754	23,754	13456
სულ საკუთარი კაპიტალი		1933055	1,482,602	1467889
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	813672	649,089	620897
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		813672	649,089	620897
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	153537	30547	204071
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	119990	43520	0
სხვა ვალდებულებები		0	827	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები		273527	74,894	204071
სულ ვალდებულება		1087199	723,983	824868
სულ კაპიტალი და ვალდებულება		3,020,254	2,206,585	2,292,857
დირექტორი				
არიელ ლევ გატუშკინი				
ფინანსური მენეჯერი				
რუსუდან აბულაძე				

შპს სინეკო საქართველო
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-2020	31-12-2019	
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	908833	649,470	1017116
არამატერიალური აქტივები	5	16825	19,133	18089
სულ გრძელვადიანი აქტივები		925658	668,603	1035205
მიმდინარე აქტივები				
გაცემული ავანსები		98,394		
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	6	582,839	582,133	647768
სხვა მიმდინარე აქტივები		30,608	14,353	9979
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	435,948	430597	412421
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	8	946,807	187,484	187484
სულ მიმდინარე აქტივები		2094596	1,537,982	1257652
სულ აქტივები		3020254	2,206,585	2292857
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3401018	3,401,018	3401018
გაუნაწილებელი მოგება / დაიფარავი ზარალი		-1495717	-1,942,170	-1946585
რეზერვები და ფინანსირება		27754	23,754	13456
სულ საკუთარი კაპიტალი		1933055	1,482,602	1467889
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	813672	649,089	620897
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		813672	649,089	620897
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	153537	30547	204071
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	119990	43520	0
სხვა ვალდებულებები		0	827	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები		273527	74,894	204071
სულ ვალდებულება		1087199	723,983	824868
სულ კაპიტალი და ვალდებულება		3,020,254	2,206,585	2,292,857
დირექტორი				
არიელ ლევ გატუშკინი				
ფინანსური მენეჯერი				
რუსუდან აბულაძე				

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2020	31-12-2019
ამონაგები		4781972	4,236,357
რეალიზაციის თვითღირებულება		(2169635)	(829294)
საერთო მოგება		2612337	3407063
სხვა საოპერაციო შემოსავალი		45791	
		45791	
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები		(373366)	(632772)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(519326)	(1255092)
იჯარის ხარჯი	11	(889917)	(842290)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(218903)	(575739)
საპროცენტო ხარჯი		(57417)	(50912)
არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯები		(138721)	(30287)
სავალუტო ოპერაციებიდან			
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(10028)	(15557)
მოგება/ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		450450	4,414
მოგების გადასახადი		(4000)	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		446,450	4,414

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

არიელ ლევ გატუშკინი

რუსუდან აბულაძე

შპს სინეკო საქართველო
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2020	31-12-2019
ამონაგები		4781972	4,236,357
რეალიზაციის თვითღირებულება		(2169635)	(829294)
საერთო მოგება		2612337	3407063
სხვა საოპერაციო შემოსავალი		45791	
		45791	
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები		(373366)	(632772)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(519326)	(1255092)
იჯარის ხარჯი	11	(889917)	(842290)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(218903)	(575739)
საპროცენტო ხარჯი		(57417)	(50912)
არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯები		(138721)	(30287)
სავალუტო ოპერაციებიდან			
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(10028)	(15557)
მოგება/ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		450450	4,414
მოგების გადასახადი		(4000)	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		446,450	4,414

დირექტორი
ფინანსური მენეჯერი

არჩელ ლევ გატუშკინი
რუსუდან აბულაძე

		2020	2019
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,482,602	1,467,889
ახალი აქციების გამოშვება		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		4,003	10,299
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,933,055	1,482,602

დირექტორი
 ფინანსური მენეჯერი

არიელ ლევ გატუშკინი
 რუსუდან აბულაძე

საქართველო, თბილისი, 2021 წლის 30 სექტემბერი

შპს სინეკო საქართველო
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2020	2019
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,482,602	1,467,889
ახალი აქციების გამოშვება		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		4,003	10,299
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,933,055	1,482,602

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

საქართველო, თბილისი, 2021 წლის 30 სექტემბერი

არიელ ლევ გატუშკინი
 რუსუდან აბულაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „სინეკო საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია 2007 წლის 15 მარტს, რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 204525736.

კომპანიის პარტნიორები არიან:

34183149, კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია

მედიკოვერ ინვესტმენტ ბი.ვი., ნიდერლანდები - 100%

შ.პ.ს. „სინეკო საქართველო“-ს იურიდიული მისამართია : საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, წინანდლის ქ., №9, (ნაკვზ; 1/56).

კომპანიის საქმიანობა არის სამედიცინო ლაბორატორიული მომსახურება (ანალიზები), ტესტები და დიაგნოსტიკა. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში იჯარით აქვს აღებული ფართები სამედიცინო საოპერაციო საქმიანობის წარმართვის მიზნით, კერძოდ სისხლის ასაღები ობიექტები. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი ობიექტების რაოდენობა არის 30 (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 30).

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღია: 2019 წლის 31 დეკემბერი

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში წარმოებულ ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, იურიდიული მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. მცირე საექსპლუატაციო რემონტის/მომსახურების და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

გამოიყენება ცვეთის წრფივი მეთოდი. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც იწყება აქტივის ექსპლუატაცია, კერძოდ, როდესაც აქტივი გადაადგილდება დანიშნულების ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია საოპერაციო მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	მომსახურების ვადა
მანქანა დანადგარები	3-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	4-5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო კონტრაქტის ვადის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 10 წლისა
სხვა	3-5 წელი

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია. საწარმო ყოველი წლის ბოლოს აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები და საჭიროების შემთხვევაში ატარებს გაუფასურების ტესტს და აღიარებს გაუფასურების ზარალს. გაუფასურების ან გაყიდვის შემთხვევაში ხდება შესაბამისი თანხების ასახვა მოგება ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადად განისაზღვრა:

არამატერიალური აქტივები	მომსახურების ვადა
პროგრამული უზრუნველყოფა	3-5 წელი
სხვა არამატერიალური აქტივები	10-20 წელი

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში მიღებული შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი საფეხურიდან მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს FIFO მეთოდი.

კომპანიის მარაგების დიდ ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან

მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო თანხით. კომპანიას მომსახურებას უწევს ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს გაფორმებული კონტრაქტის ფარგლებში. იურიდიული პირებისთვის ყოველი თვის ბოლოს იწერება დოკუმენტი ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად. იმ შემთხვევაში როდესაც მოთხოვნა აღირიცხება უცხოური ვალუტაში, ყოველი წლის 31 დეკემბერს ნაშთი ექვემდებარება გადაფასებას.

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს სალაროებში და საბანკო ანგარიშებზე, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან. ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალში.

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებზე.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

ამონაგები

ამონაგები მოიცავს მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს. კომპანიის მიერ ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვეითოს კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა, დაბრუნებული თანხები და მოცულობის გამო ფასდაკლება.

მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გაუწევს მომსახურებას და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება წარმოადგენს სამედიცინო კვლევებზე გახარჯულ, პირდაპირ მიკუთვნებული მასალების და ნედლეულის ხარჯებს, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და სხვა ტიპის ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული სამედიცინო კვლევების განხორციელებასთან. მასალები და ნედლეული

თვითღირებულებაში აისახება გამოყენებისთანავე, ხოლო სხვა ტიპის ხარჯები, ხარჯების გაწევის პერიოდის შესაბამისად.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს კომპანიის მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. კომპანიამ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ კომპანიიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გაფორმებული აქვს 33 საიჯარო კონტრაქტი.

4. ძირითადი საშუალებები

	მანქანა - დანადგარე ბი და მოწყო- ბილობა	ოფისის აღჭურვი ლობა	ავეჯი და სხვა ინვენ- ტარი	სატრანსპორ ტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწ- ყობა	სულ
1 იანვარი 2019 წ.	303874	284161	208928	354286	435966	4332015
შემოსვლა	408148	30975	5254	317	29640	474334
გასვლა	0	0	0	0	0	0
31 დეკ. 2020 წ.	3439021	315136	214182	354403	483606	4806348
31 დეკ. 2020 წ. დაგროვილი ცვეთა	2888943	200116	179598	262470	366389	3897516
31 დეკ. 2020 წ. საბალანსო ღირებულება	550078	115020	34584	91933	117217	908832

5. არამატერიალური აქტივები.

1 იანვარი 2020 წ.	58,951
შემოსვლა	1,624
გასვლა	0
31 დეკემბერი 2020 წ.	60,575
31 დეკემბერი 2020 ამორტიზაცია	43,751
31 დეკემბერი 2020წ. საბალანსო ღირებულება	16,824

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2020	2019
საქონელი	566,844	555,949
სარეკლამო საქონელი	15,995	26,184
	582839	582133

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო დებიტორები	358,256	490,743
წინასწარი გადახდები	98,394	70,006
	456,650	560,749

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-12-2020	31-12-2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	762633	498205
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	178439	10284
ეროვნული ვალუტა საღაროში	5735	2410
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	946,807	510,899

ყოველი წლის 31 დეკემბრის კურსის მდგომარეობით ხდება უცხოური ვალუტის თანხის კორექტირება. სხვაობა აისახება მოგება ზარალში საკურსო სხვაობის სახით.

9. გრძელვადიანი სესხი

	31-12-2020	31-12-2019
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	813672	649089
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	813,672	649,089

გრძელვადიანი სესხი წარმოადგენს კომპანიისგან აღებულ სესხს, გაფორმებული კონტრაქტის ფარგლებში საკონტრაქტო ვალუტა არის ევრო (EUR). საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4.29%. წელიწადი განიხილება როგორც 360 დღე. პროცენტის გამოთვლა და გადახდა განსაზღვრულია ხელშეკრულებით. ყოველი კვარტლის ბოლოს კომპანიის მიერ ხდება გადასახდელი პროცენტის დაფარვა წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე. სესხის წინასწარ დაფარვაზე ჯარიმა გათვალისწინებული არ არის.

10. სავაჭრო ვალდებულებები და ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

სავაჭრო ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს 153,537 ლარს, (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 30,547 ლარი)

დაქირავებულ მომუშავეთ გასამრჯელოში აღიარებულია ვალდებულებად გასაცემი წლიური ბონუსების თანხები, რომლების გაცემა კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად ხდება გამომუშავებული წლის შემდეგ წელს. 2019 წლის თანხის გაცემა მოხდა 2020 წელს. ხოლო 2020 წელს გამომუშავებული თანხის გაცემა მოხდება 2021 წელს.

11. იჯარის ვალდებულებები

კომპანიას აღებული აქვს 33 საიჯარო ფართი. მიმდინარე 2020 წელს იჯარის ხარჯად აღიარებულია 889,917

12. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია